სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. | წელიწადი პირველი. | ბრძოლაში ჰპოებ შენს უფლებას.

შაბათი, ნოემბრის 23, 1918 წელი.

# შრომა

№ 84

გაზეთის ფასი 50 კაპ.

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით 10 მან., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: Тифлис, Контора газ. „Шрома", Баронская ул., № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—11 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

რედაქციის მისამართი: Тифлис, Редакція газ. „Шрома", Баронская ул. № 16.

ორგანო საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარ. ცენტრალურ კომიტეტისა

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-დღიურ გაზეთ

„შ რ ო მ ა"-ზე

მისამართი: თბილისი, ბარონის ქუჩა № 16 «შრომის» კანტორა

საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარტიის ყველა ორგანიზაციებს

## ამხანაგებო!

თანახმად ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა, ამა წლის 10 დეკემბერს ქ. თბილისში

დანიშნულია საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარტიის ორგანიზაციების

## მეორე ყრილობა.

**დღიური წესრიგი:**

1. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება.
2. საპარლამენტო ფრაქციის მოხსენება.
3. მთავრობაში წარმომადგენლის მოხსენება.
4. პროგრამული საკითხები (მიწის, მუნიციპალური და სხვ.).
5. პარლამენტი და პარლამენტარიზმი.
6. პარტიის ტაქტიკა.
7. ახალი საორგანიზაციო წესდების შემუშავება.
8. ინტერნაციონალი.
9. პარტიული პრესა.
10. დამფუძნებელი კრება (კანდიდატთა სიის შედგენა, საარჩევნო კომპანია).
11. ფინანსები.
12. პარტიული მუშაობა.
13. მოხსენებები ადგილებიდან.
14. მიმდინარე საკითხები.
15. ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.

**წარმომადგენლობა:** ყოველი ორგანიზაცია გზავნის თითო წარმომადგენელს. ორგანიზაციები, რომლების წევრთა რიცხვი 200 აღემატება, ყოველ 200-ზე გზავნიან თითო წარმომადგენელს.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

## განცხადება.

**ცენტრალური სასურსათო საბჭო** (მადათოვის ქ. № 3, ყოფილი სასურსათო სამინისტრო),

ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოთ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ ხარჭოში

**ბ ე ნ ჭ ი მ ა რ ი ლ ი**

**დაწესებულ ფ ა ს ე ბ შ ი.**

მარილის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში და ქ. ფოთში.

ცენტრალურ სასურსათო საბჭოს თავმჯდომარე **ვ. არდიშვილი.**

მომარაგებითი განყოფილების გამგე **ს. ადანაია.** 14—8

**ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილი.**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა აბები დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამის 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ., სახლი № 119 ტელ. 8—26.

**ექიმი ი. კ. აბაკელია**

**შინაგანი ავადმყოფობა.**

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველგვარი ჰლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 ს. პეტრე დიდის ქ. № 26 ტელ. 5—86

**ქ. თბილისი, ნოემბრის 23.**

კავკასიის ერების კონფერენციას, რომელიც იყო დანიშნული 14 ნოემბრისათვის, სამწუხაროდ ვერ დაესწრენ სომხეთის წარმომადგენელნი. დაშნაკელთა პრესამ, რომელმაც თავიდან კონფერენციის წინაამდეგ გაილაშქრა, თავის მიზანს თითქოს მიაღწია, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ მეორეს მხრით, ისიც, რომ საქართველოში სომხეთის წარმომადგენლის განცხადებებიდან და თვით სომხეთის მთავრობის დეპეშებიდან არ სჩანს, რომ სომხეთის მთავრობა იზიარებდეს დაშნაკელთა ორგანოების აზრს. თუმცა კონფერენციაზე არ გამოცხადდენ სომხეთის წარმომადგენელნი, მაგრამ ჩვენს მთავრობას მაინც გაუმართავს მოლაპარაკება სომხეთის იმ დელეგატებთან, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ ოსმალეთთან მოლაპარაკებაში. როგორც ჯამალიანის განცხადებიდან სჩანს, ასეთ მოლაპარაკებას თანაგრძნობით უყურებს სომხეთის მთავრობა, რაც იმის მომასწავებელია, რომ კაჩაზნუნის მთავრობა მდგომარეობას უფრო ფხიზლად აფასებს, ვიდრე დაშნაკელთა პარტია. შექმნილი კონიუნქტურა ბრძანებლობით უკარნახებს დღეს კავკასიის ერებს გამონახონ საერთო ენა და ხელიხელ ჩაკიდებულნი საერთო ძალღონით დაიცვან თავიანთი თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნება შემდეგი ნაბიჯები იმ ძალების, რომლებიც დღეს ბაქოში მკვიდრდებიან, მაგრამ ჩვენთვის აშკარაა, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატიები სასტიკად შეებრძოლებიან ყოველ ნაბიჯს, ყოველ ზომას, რომელიც მიმართული იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წინაალმდეგ.

შეინარჩუნებენ თუ არა ამიერ-კავკასიის ერები დამოუკიდებლობას, ბევრად არის დამოკიდებული ამ ერების ურთიერთ გაგებაზე და შეთანხმებულ მოქმედებაზე. იმპერიალიზმი რომელი ქვეყნიდან არ უნდა იყოს ის, მთელი თავისი ბუნებით ეწინააღმდეგება ეროვნულ თავისუფლებას და ეროვნულ თავისებურობას. ამ შეგნებამ უნდა დაუახლოვოს ერთი მეორეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები, რათა საერთო საფრთხის წინაშე შეიქნას ერთი—სოლიდარობისა და აქტიური თანაგრძნობის—ფრონტი...

## ჩვენი მენშევიკები და ცხოვრების სინამდვილე.

მენშევიკების მსოფლმხედველობა ცალმხრივი და ყალბია. ამიტომ სინამდვილე მას სულ არ წყალობს.

არც ერთი პრაქტიკულ ცხოვრებიდან წამოყენებული საკითხი არ გადაჭრილა მენშევიკურათ. მოვიგონოთ ნაციონალური საკითხი, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის მოწყობის საკითხი, ეკონომიური და სხვ. ყველა ამ საკითხებმა ჯვარი დაუსვა მარქსიზმს, როგორც პრაქტიკულ მოქმედების მოძღვრებას. მისი თეორეტიული უნიადაგობა კიდევ ადრე იქნა ცნობილი. მაგრამ თეორეტიული არგუმენტებით, თეორეტიული ბრძოლით დოგმის შერყევა იოლი არაა. დოგმა რწმენათთაა ქცეული და ტენდენციური აზროვნება უხშობს გზას აზრის ახალ ნაკადებს. საჭიროა ულმობელი სინამდვილის ცოცხალი გაკვეთილები, რომ შეირყეს დოგმა და მის მატარებლებმა თვისი შეცდომები აღიარონ.

სწორეთ ასეთ გარემოების მოწამენი გავხდით 20 ნოემბრის თბილ. მუშათა საბჭოს სხდომაზე. ბ. ნოე ჟორდანიამ აქ თავის მოხსენებაში ხაზგასმით სთქვა: ჩვენ ცენტრალიზმის მომხრენი ვიყავით, ეროვნულ საფუძველზე სახელმწიფოს მოწყობას უარვყოფდით, მაგრამ ცხოვრება ჩვენი აზრის და შეხედულების წინააღმდეგ წავიდა და დღეს ჩვენ ვხედავთ ყველგან, ყველა ქვეყნებში ძლიერ ლტოლვას ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნისადმი.

ეს მწარე იძულებითი აღსარება მოვისმინეთ ჩვენ მენშევიკების ცნობილ ლიდერის პირით. ამ შემთხვევაში მართლდება ზემოთ მოყვანილი ზოგადი დებულება დოგმისა და რეალობის დამოკიდებულების შესახებ. ერთი თვალსაჩინო მუხლი სოციალდემ. პროგრამიდან, რომელიც ამართლებდა ცენტრალისტურ და კოსმოპოლიტურ სოც.-პოლიტიკური წყობის მიზნიანობას, ამოიშალა. ეს დაწყებაა ხსენებული პროგრამის პრაქტიკული ნგრევისა და ჯერი სხვა მუხლებზეც მივა. ეს მუხლები, როგორც ვსთქვით, თეორეტიულათ უკვე უარყოფილია.

მაგ. მუხლი მიწის საკითხის შესახებ. მეცნიერება ამტკიცებს, რომ სოფლის მეურნეობაში აუცილებლივ საჭიროა აქტიური სამეურნეო პოლიტიკის წარმოება კოლექტივიზაციისაკენ მიმართული, რადგან ამას მოითხოვს მეურნეობის ევოლიუციის კანონები და ხალხის ინტერესებიც. მენშევიკები ჯიუტობენ და, წინააღმდეგ ყოველივე ამისა, ცხოვრების კანონებისა, ხომერიკის კანონებს ახვევენ ხალხს თავზე. რადგან მტკიცე საფუძველი არ აქვთ ჩვენ მენშევიკებს არც თეორეტიული და არც პრაქტიკული ახლათ შობილი მიწის კანონპროექტის ცხოვრებაში გასატარებლათ, ამიტომ ისინი მერყეობას განიცდიან და გაბედული ნაბიჯებით ვერ მიდიან დასახულ მიზნისაკენ. როდესაც თბილისის მუშათა საბჭოს ხსენებულ სხდომაზე ჩვენმა წარმომადგენელმა ამხ. ჩემოდანოვმა მიუთითა ესდეკებს კანონპროექტის უვარგისობაზე და აღნუსხა, რომ მსოფლიო რევოლიუციის ხანაში ასეთი რეფორმატორული ნაბიჯების გადადგმა რევოლიუციონური და სოციალისტური თვალსაზრისით შეუწყნარებელია,—ამაზე ბ. ჟორდანიამ უპასუხა, რომ როგორც ევროპა მოიქცევა ჩვენც ისე მოვიქცევითო, ჩვენ მათი შემყურე ვართო. ასეთივე აზრი გამოსთქვა ბ. ჟორდანიამ იმავე საბჭოს წინა სხდომაზეც, როდესაც გერმანელი ჯარისკაცების წარმომადგენელთ უპასუხებდა. ჩვენ ბერლინს გავყვებითო. ამგვარათ საკუთარი რევოლიუციონური აქტივობის გამოჩენას არ ფიქრობენ ჩვენი მენშევიკები. როგორც წავა საერთოთ საქმე ისე იქნება ჩვენშიცო. ასეთი მსჯელობა გვაგონებს შეუგნებელ გლეხის, ან მუშის მსჯელობას, რომელიც როდესაც მას დაუწყებ საზოგადოებრივ საკითხებზე ლაპარაკს, ხშირათ გიპასუხებს,—ეს ჩემი საქმე არაა, როგორც მოეწყობა საერთოთ საქმე ისე იქნება ჩემთვისაცო. ასეთ მსჯელობაში ჩამარხულია უდიდესი მეშჩანობა და სწორეთ ეს მეშჩანობა ახასიათებს ჩვენებურ სოც.-დემოკრატებს. ეს, რასაკვირველია, მარქსიზმის ნაყოფია, რომელმაც მოსწამლა დემოკრატია შეგუების და ინერტობის შხამით. ხსენებული მუშათა საბჭოს სხდომაზე კიდევ ბევრ საგულისხმო მომენტებს ქონდა ადგილი. მათში აღვნიშნავთ მხოლოთ ორს, რადგან ეს ორი მარქსიზმის ძირითად საფუძველს შეეხება.

ბ. ჟორდანიამ თავის მოხსენებაში სთქვა: თუ საფრანგეთში მოხდა რევოლიუცია; ეს რევოლიუცია უსათუოთ სოციალისტური იქნებაო, რადგან ამისათვის იქ ყველა პირობებიაო, ხოლო გერმანიაში ასეთ პირობებს სოციალიზმისათვის ბ. მომხსენებელი ვერ ნახულობს. ის თავის მოსაზრებას მატერიალისტური თვალსაზრისით „ასაბუთებს." ამხ. ჩემოდანოვის სამართლიან შენიშვნაზე, რომ მარქსიზმის თვალსაზრისით გერმანიაში უფრო უნდა იყოს სოციალიზმის განსახორციელებლათ ხელსაყრელი პირობები, რადგან საწარმოვო ძალები გერმანიაში უფრო განვითარებულია, ვინემ საფრანგეთში, ბ. ჟორდანიამ საბუთიანი პასუხი ვერ გასცა. საფრანგეთში პარლამენტარიზმია, მასთან ის ეროვნული სახელმწიფოა და ამიტომ იქ თუ იქნება, უეჭველათ სოციალისტური რევოლიუცია იქნებაო. ვინც იცნობს მარქსიზმის ფილოსოფიას, მისთვის აშკარაა, რომ ბ. ჟორდანია ამ შემთხვევაში გლახა მარქსისტი გამოდგა. ბ. კ. წერეთელს (მეორე მომხსენებელი) ერთმა ოპონენტთაგანმა მიუთითა წინააღმდეგობებზე, რომლებშიდაც ის ვარდება სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა მოხსენებებში. ოპონენტმა აღნუსხა, რომ გარდა წინააღმდეგობისა, სრულებით არ მართლდება ბ. კ. წერეთლის პროგნოზების. ბ. წერეთელმა საპასუხო სიტყვაში ხაზი გაუსვა: რომ ისტორიული პროგნოზები მარქსიზმს არ სწამსო და ამიტომ არც მე[illegible] შემეძლო მომავალზე მეწინასწარმეტყველაო. აქ აშკარაა ერთი რამ: ან ბ. წერეთელს არ აქვს შეთვისებული მარქსიზმის დედააზრი, მარქსიზმის სული, ან და ხედავს რა მის უმწეობას რეალ სინამდვილის ანალიზის და გაგება-დაფასების საქმეში, ცდილობს მის „შეპაჩინკებას", ძველ ფორმებში ახალი შინაარსის ჩადებას. ასეთი წინააღმდეგობები და შეუსაბამობა, რომე-

ლიც ზევით აღვნიშნეთ ჩვენი მენშევიკების მოქმედება მოღვაწეობაში მაჩვენებელია იმის, რომ მათ არ აქვთ საღი და მეცნიერული მსოფლმხედველობა, რომელსაც შეეძლოს გზის მაჩვენებელ ვარსკლავის როლი ითამაშოს ცხოვრების ლაბირინტში. ასეთი ხალხის ცხოვრების სათავეში მოქცევა ისტორიულ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, რადგან შეუძლებლია მათ ცხოვრების გემი კარგათ მართონ და ტალღების მიერ გადაბრუნებისაგან უზრუნველყონ. უკანასკნელათ უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება:

ყოველივე ზემო ნათქვამის შემდეგ ბუნებრივათ იბადება კითხვა—როგორ მოექცენ ჩვენი ცხოვრების სათავეში მენშევიკები, თუ მათი მსოფლმხედველობა ყალბია, ყალბია აგრეთვე აქედან გამომდინარე ნაბიჯები. და ცხოვრებას ისინი უნდა უკუ ეგდო? და ამ კითხვაზე თვით ცხოვრების სინამდვილე გვიპასუხებს. ჩვენ ვიცით, რომ მარქსისტები რუსეთში რამოდენიმე ათეული წელი მუშაობდენ, მაგრამ მათი მუშაობა უნაყოფოთ ჩატარდა. დამფუძნებელი კრების არჩევნებმა ეს სავსებით დაამტკიცა. როგორც ვიცით, რუსეთიდან მხოლოთ სამიოდე მენშევიკები აირჩიეს. რუსეთის მშრომელმა დემოკრატიამ უარყო სოციალდემოკრატები, რა დაინახა მათი ნამდვილი სახე. ჩვენში ჯერ ეს არ მომხდარა. ჩვენმა მშრომელმა დემოკრატიამ არ იცის ს-დ. ნამდვილი სახე და არც შეეძლო სცოდნოდა, რადგან მენშევიკები ჩვენში თვისი მიზნების მისაღწევათ უაღრესათ ოპორტიუნისტულ ტაქტიკას ადგენ. რომ ჩვენი მშრომელი დემოკრატია სოც-დემ. არ გაყვება თუ მის მოსღვრებას გაიგებს, ამას არც თვით ბ. ნ. ჟორდანია უარყოფს. ვისაც აქვს წაკითხული მისი ცნობილი წიგნაკი: „სოც-დემ., და სოც. რევ“ მან ეს იცის. ამგვარათ ჩვენში მენშევიკების გაბატონება დიდი „ნედორაზუმენია“. ასეთ „ნედორაზუმენიებს“ ცხოვრების სინამდვილე დიდხანს ვერ ეგუება. მენშევიკებმა უნდა აუღონ ალღო ცხოვრებას და მისი ნაკარნახევი გზით წავიდენ, შეუდგენ ნამდვილ ფართო რევოლიუციონურ შემოქმედებით მუშაობას და უკუაგდონ ბურჟუაზიულ-რეაქციონური დაწყებულებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ხასტიკი დამარცხება აუცილებელია.

ეს ჩვენი კატეგორიული მტკიცებაა! ვნახოთ. **დილიანი.**

## მთავრობაში.

**მთავრობამ დაადგინა:**

ქუთაისისა და ფოთის ქალაქის გამგეობას ეპატიოს ქუთაისის სახაზინო პალატის მიერ მიწერილი ჯარიმა სახელდობრ: ქუთაისისას 1923 მანეთი 63 კ. და ფოთისას 2947 მ. 74 კ. ამ თანხების სათანადო ანგარიშებიდან ვამორიცხვით. გაეხსნას გზათა მინისტრს 10 მილ. ფონდიდან 100,000 მან. კრედიტი თბილისის სადგურზე მუშაობის საჩქაროთ დასამთავრებლათ ავანსათ ხარჯ-აღრიცხვის ანგარიშში.

——

ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი ღვინოზე აქციზის გადიდების შესახებ პრინციპიალურად მიღებულ იქნა რამოდენიმე შესწორებით.

——

ყურძნის ღვინის აქციზის იმ შემოსავლიდან, რომელიც ადგილობრივ გაყიდულ ღვინოდან იქნება მიღებული გადარიცხულ იქნას გადასახადის მიღებისას 15 პრცენტი სათანადო ერობის სასარგებლოდ. 15 პროცენტი კი სათანადო ქალაქის თვითმართველობისთვის, და ამის მიხედვით შესწორებულ იქნეს კანონ—პროექტის მე 20 მუხლი.

## ახალი ამბავი

სანოვაგე რკინის გზის მოსამსახურეთ. სასურსათო საქმეთა ყრილობის მთავარრწმუნებული ათაბეგოვი ატყობინებს საქართველოს რკინის გზის ყველა სადგურების უფროსებს, რომ სასურსათო კომიტეტი უზრუნველყოფს სანოვაგით რკინის გზის ყველა დარგის მოსამსახურეთ.

● გაფიცვა. პარლამენტის საწერ მანქანაზე მომუშავენი გაიფიცენ. გაფიცულები მოითხოვენ ჯამაგირების მომატებას 400 მ. მაგივრათ 500 მანეთს.

● სტატისტიკური განყოფილება. მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან ახლათ დაარსებულ სტატისტიკურ განყოფილებაში ამ კვირაში დაიწყება მუშაობა. ადგილის მთხოვნელი არის 1500 კაცი. აქიდან მიღებული იქნებიან მხოლოთ 100 კაცი.

● ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო ზ. ჭ. წიგნი: „ლიუტერის სჯულის ქართველები საქართველოში“. წიგნი შეიცავს 16 გვერდს და სუფთა ქაღალდზეა გამოცემული.

## ამხ. პ. ი. გამბაროვის ხსოვნას.

15 ნოემბერს გარდაიცვალა სულ 24 წლის ახალგაზრდა, ჩვენი პარტიული ამხანაგი პ. ი. გამბაროვი.

მე პირადათ ხშირად არ შევხვედრივარ განსვენებულს, მაგრამ ის შთაბეჭდილებანი, რომელიც ჩემში დატოვა ამ რამოდენიმე შეხვედრამ ღირს იმათ, რომ მასზე ვილაპარაკოთ.

ჩვენ გავიცანით ერთმანეთი მაშინ, როდესაც ამიერ-კავკასია თავის დამოუკიდებლობის პერიოდს განიცდიდა.

ყველას ახსოვს, თუ რა მძიმე ატმოსფერა შეიქმნა ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა რესპუბლიკის გარშემო. ის ჯერ კიდევ არ იყო დაბადებული, რომ მისი მტრების რიცხვი უამრავი იყო. მისი არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ ერთმანეთს ედავებოდენ არა მარტო სხვადა სხვა პარტიები, არამედ დავა სწარმოებდა ერთი პარტიის ორგანიზაციებშიაც კი, და იქ სადაც მოსალოდნელი იყო აზრის ერთიანობა, გააფრთებული კამათი სწარმოებდა.

მეტათ მწვავეთ იდგა საკითხი. პოლიტიკურ-სუვერენულ ამიერ-კავკასიის წინაშე გაშლილი პერსპექტივები მეტის-მეტად ბუნდოვანი იყო, და თუ ეს პერსპექტივები ხანდისხან შედარებით უფრო გარკვეული ხდებოდა, ის იყო მეტად მრისხანე და საშიში ფერის. ვინაიდან გარედან ჯერ კიდევ ძალით აღსავსე ოსმალეთის იმპერალიზმი უქადდა მას გასრესას და თავზედათ ახალგაზდა სახელმწიფოს არსებობის მოსპობას ლამობდა, შიგნით კი ამიერ-კავკასია შეურიგებელი ეროვნული შუღლით იფლითვბოდა.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი ერთი იმ საკითხთაგანი იყო, რომელმაც გამოიწვია განხეთქილება სოც.-რევ. ამიერ-კავკ. ორგანიზაციებში. მისი ერთი ნაწილი აწ უკვე განსვენებული „ზნამია ტრუდა“-ს (ახლა „ზნამია ნაროდა“) გარშემო შემოკრებილი ოპოზიციაში ჩაუდგა დამოუკიდებელ ამიერ.-კავკასიას, რომელსაც ურჩევდა ბოლშევიკურ რუსეთთან მთლიანი ფრონტის შექმნას, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც შემოკრბა ს. რ. პ. ამიერ-კავკასიის ორგანიზაციათა საოლქო კომიტეტის მიერ იმ ხანებში გამოცემული ახალი ორგანოს „დელო ნაროდა“-ს გარშემო,—ამიერ-კავკასიის დამოუკიდობლობის გამოცხადებაში ხედავდა აუცილებელს და ერთად-ერთ შესაძლებელ ნაბიჯს იმათთვის, ვისაც შეგნებული ქონდა თვისი პასუხისმგებლობა ამიერ-კავკასიის დემოკრატიის წინაშე განსაკუთრებით [illegible]

აქ არ არის საჭირო აღვნიშნოთ ის [illegible] რომელიც ყველგან სწარმოებდა ამ საკითხის გარშემო,—ჯერ კიდევ ცოცხალია მისი ხსოვნა.

ჩვენს ორგანოს „დელო ნაროდა“-ს, რომელმაც შემოიკრიბა თავის გარშემო ფხიზელი და მტკიც ელემენტები პარტიისა, არ მიაჩნ შესაძლებლად ამ მძიმე მომენტში ეწარმოებინა გარეგნულად შესაძლო მოსაგები, მაგრამ არსებითად უპასუხისმგებლო პოლიტიკა.

სოციალისტ რევოლიუციონერთ ამ ჯგუფს მიეკედლა მაშინ პეტროგრადიდან ჩამოსული პეტ. გამბაროვი. ჩვენ ერთად ვმუშაობდით მასთან, როგორც „დელო ნაროდა“ სარედაქციო კოლეგიის წევრები ამ მუშაობაში ის პირდაპირ მომხიბლავი იყო. ზედმიწევნით წყნარი მიუხედავათ თვისი მდიდარი პოლიტიკური წარსულისა, დაფიქრებული მუშაკი—ის შეუდარებელი თანამშრომელი იყო სარედაქციო საქმეში. მისი წერილები, განსაკუთრებით მსოფლიო პოლიტიკის შესახებ, ააშკარავებდენ მასში ნათელ, ცოცხალ გონებას, საფუძვლიან ერუდიციასთან ერთად.

მაგრამ არა მარტო ეს ღირსებანი გვზიდავდა ჩვენ განსვენებულ ამხანაგში. განსაკუთრებით ძვირფასი ის ჩვენთვის მით, რომ მაშინ როდესაც სომხის საზოგადოების დიდი ნაწილი, და აგრეთვე რუსი საზოგადოება თითქმის მთლიანათ, ხან ფარულის, და ხან აშკარა უნდობლობითა და უკეთური სურვილებით ეკიდებოდა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აქტს, და ჩვენმა სომეხ ამხანაგებმა კი, ისე როგორც ს. რ. ამ. კავკ. ორგან. რუს ამხანაგების დიდმა უმეტესობამ „ზნამია

# მარქსიზმი და ბურჟუაზია.

(გაგრძელება იხ. „შრომა“ №№ 58, 75, 76, 77, 78, 79 და 80

VI.

**მარქსისტული დოგმები და ცხოვრების სინამდვილე.**

როგორც ვიცით, მარქსიზმი თავის იმედებს სოციალიზმის განხორციელების საქმეში ამყარებს. კაპიტალიზმის, ეკონომიურ განვითარებაზე, რომელსაც, მათი აზრით ფატალური აუცილებლობით მივყევართ სოციალიზმის სამეფოსაკენ.

მათ სწამთ, რომ კაპიტალიზმი თავის თავს თვით ამოსწურავს და მოკვდება ბუნებრივი სიკვდილით.

კაპიტალიზმის განვითარებას მოაქვს კაპიტალების კონცენტრაცია და მასების პროლეტარიზაცია. ამ პროცეს, მათი აზრით, ალაგი აქვს, როგორც წარმოებაში ისე სასოფლო მეურნეობაში.

კაპიტალიზმის ვანვითარება, თავის კონცენტრაციით, პროლეტარიზაციით და პერიოდული კრიზისებით, აღწევს რა უმაღლეს წერტილს, იქცევა თავის თავის უარყოფად, სოციალიზმათ.

ასე გვასწავლიან მარქსისტები.

ჩვენ აქ არ შეუდგებით კაპიტალიზმის შესახებ მარქსისტულ დოგმის ვრცელ კრიტიკას, გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ამ თეორიის უვარგისობის, სიყალბის შესახებ თვით მარქსისტულ ბანაკში ბევრს ლაპარაკობენ. თვით ზოგიერთი მარქსისტები ამბობენ, რომ კონცენტრაციის და პროლეტარიზაციის თეორია არ მართლდება სოფლის მეურნეობაში.

„თუ ჩვენ, დაბოლოს, თვალს გადავავლებთ, შევკრებილ ყველა ფაქტებს, პრობლემებს და ტენდენციებს, რომლებიც შეკავშირებულნი არიან აგრარულ ევოლიუციის საკითხთან, ერთი ჩვენთვის ნათელი იქნება,—რომ მარქსისტული მოძღვრება წარმოების კონცენტრაციის შესახებ მიუღებელია (მიუდგომელია) სოფლის მეურნეობაში (ხაზი ავტორისაა). ასე სწერს აგრარულ საკითხის ცნობილი მკვლევარი მარქსისტი ედ. დავიდი.[1])

ასეთივე აზრის არიან გერტელიც და სხვა ცნობილი მარქსისტები ისინი აღნიშნავენ, რომ მეურნეობაში არ აქვს ალაგი წვრილ წარმოების მოსპობას, იქ არ ხდება კონცენტრაცია.

ბელგიელი სოც.-დემ. ემ. ვანდერველდე ამ საკითხის შესახებ, სხვათა შორის სწერს: „მაგრამ მანამდის ჩვენ კიდევ არ მიგვიღწევია ამისთვის (ლაპარაკია ამის შესახებ, რომ მუშათა ასოციაციებით მიწის დამუშავება უფრო სარგებლიანი იქნება ვიდრე კერძო მეურნეობა, იმ შემთხვევაში, რომ მიწაზე კოლექტიური საკუთრება იყოს M-l.), სანამ არსებობს კაპიტალისტური წესწყობილება, თანახმათ ზემო ნათქვამისა, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ კაპიტალისტურ კონცენტრაციის კანონი მიწის დამუშავების ეხლანდელ პირობებში არ მართლდება, რომ არ ემჩნევა განსაზღვრული, შეუდრეკელი ტენდენცია მსხვილი მეურნეობის მიერ წვრილის ჩაყლაპვისა“.[2]) (ხაზი ჩვენია M.)

ასეთივე აზრის არის ცნობილი იტალიელი სოც.-დემ. გატტი[3]) მაგრამ მარქსიზმის აღნიშნულ თეორიის სიყალბეზე არა მარტო ეგრ. წოდებული „რევიზიონისტები“, კრიტიკული მარქსისტები სწერენ: ბოლოს და ბოლოს თვით ორტოდოქსალურ მარქსიზმის წარმომადგენელი კ. კაუტსკი იძულებული იყო განეცხადებინა „წვრილი გლეხური მეურნეობა არ იხრწნება ისე ჩქარა, როგორც ოცი წლის უკან; ალაგ ალაგ ის კიდეც ვითარდება“.[1]) (ხაზი ჩვენია M.)

მეორე ალაგას კაუტსკი იძულებული იყო უფრო გარკვევით ეთქვა;

„მე ვაღიარებ, რომ აგრარული ურთიერთობანი არ ვითარდება იმავე შაბლონით, როგორც ინდუსტრიალური—მეურნეობა აგრეთვე, რომ ერფურტის პროგრამის შედგენის დროს ჩვენ ბევრი მხრით ვიყავით სხვა აზრის აგრარულ ევოლიუციის საკითხში, ვიდრე ახლა, მას შემდეგ გამოქვეყნდა მრავალი სტატისტიკური ცნობები, და თვით პირობები ისე გამოიცვალენ, რომ ჩვენ გვიხდება ჩვენის აზრით დღეს სხვანაირათ ვიფიქროთ, ვიდრე წინათ ვფიქრობდით“.

ასეთივე აზრი გამოსთქვა გერმანიის სოც.-დემ. უმთავრეს თეორეტიულ ორგანო „Die Neue zeit-ის რედაქციამ. ის ამბობდა:

იმ დასკვნებიდან, რომლებიც გამოიყვანა მარქსმა და ენგელსმა ზოგიერთები დამარცხდენ.[2])

მაგრამ მარქსისტული თეორია კონცენტრაციის შესახებ არა თუ არ გამართლდა მიწათმოქმედებაში, არამედ ინდუსტრიაშიდაც ბევრი შენიშვნებით და შესწორებებით ღებულობს ეკონომიური მეცნიერება.

ამიტომ მარქსისტების სოციალიზმის დასამყარებლათ ეს ერთად ერთი გზაც მეტად არა საიმედოა.

როგორც ვხედავთ კაპიტალიზმის განვითარება ვერ მიგვიყვანს სოციალიზმამდე. მისი განვითარება თითქმის სრულებით ხელშეუხებლად სტოვებს ეკონომიური მხარის დიდ ნაწილს—სასოფლო მეურნეობას. კაპიტალიზმის განვითარება არ თამაშობს ისეთ რევოლიუციონურ როლს, რომელსაც მას სოც.-დემ. მარქსისტები ანიჭებდენ.

არც ამ კაპიტალისტური განვითარების მატარებელი ბურჟუაზია აღმოჩნდა ისეთი რევოლიუციონერი, როგორც სოც.-დემ. ეგონათ.

როდესაც მარქსისტები ლაპარაკობდენ, რომ ბურჟუაზია რევოლიუციონურია; ის იბრძვის საერთო პოლიტიკურ თავისუფლებისათვისო და თავის ბრძოლით უკაფავს გზას კაპიტალიზმის განვითარებას და მით სოციალიზმის საქმეს აკეთებსო; დიახ როდესაც ამას ამბობდენ სოც.-დემ. ავიწყდებოდათ, რომ

„ბურჟუაზიის ლიბერალიზმის ხარისხი არ არის, ბურჟუაზიის როგორც ასეთის, რაღაც მისტიური თვისება, განსაზღვრულ დოზით „შინაგანმუნმყოფი“.[1])

ავიწყდებათ, რომ ბურჟუაზიის არა თუ ჩამორჩენილ ქვეყნებში, არამედ თვით მოწინავე ევროპის ბურჟუაზიაც, რომლის რევოლიუციონერობაზე ასე ბევრს სწერდენ მარქსისტები, არ არის რევოლიუციონური კლასი.

თვით საფრანგეთის, ბურჟუაზიულ რევოლიუციებათ წოდებულ მოძრაობების დროს ბურჟუაზიას არავითარი რევოლიუციონური როლი არ უთამაშნია.

მისი ინტერესი სრულებით არ მოითხოვდა მაშინ რევოლიუციის მოხდენას. საფრანგეთის ბურჟუაზია სრულებით არ იბრძოდა თავისუფლებისათვის, ვინაიდან ის კარგა ეგუებოდა არსებულ წესებს.[1]) თვით სოც.-დემ. იყვენ ბოლოს და ბოლოს ეთქვათ, რომ

„ბურჟუაზია უვარგისი გამოდგა თავის ისტორიულ მისიის შესრულებაში“[2]).

მაგრამ თუ ეს ითქმის ევროპის ბურჟუაზიის შესახებ, რაღა უნდა ითქვას რუსეთის ბურჟუაზიის რევოლიუციონერობაზე.

მართალია ს-დემ. სწამდათ, რომ რუსეთის ბურჟუაზიასაც ექნება თავის „მშფოთარე მისწრაფებების ხანა“, მაგრამ ცხოვრების სინამდვილემ აქაც დაამარცხა მარქსისტული დოგმა რუსეთის ბურჟუაზიის რევოლიუციონერობის შესახებ.

რუსეთის ბურჟუაზიას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია რევოლიუციონურ მოძრაობაში.

„რუსეთში პოლიტიკურ მოძრაობის პიონერად გამოვიდა არა ბურჟუაზია და პროლეტარიატი, არამედ ინტელიგენცია“. (ხაზი ჩვენია M-l) მაგრამ

„თუ ჩვენი ბურჟუაზია საუცხოვოდ გრძნობს თავს აბსოლიუტიზმის თბილ ფრთებს ქვეშ, რომელიც (აბსოლიუტიზმი) იცავს მას მუშათა კლასის ყოველ თავდაცემისაგან; სხვა და სხვა პროტექციონურ [illegible]მების, სუბსიდიების დახმარებას, [illegible] მიიღებს, მოწესრიგებას, გარანტიებს, შემოტანილ საქონელზე გადასახადების და სხვა გულისთვის, ის [illegible] არის შეურიგდეს თავად-აზნაურობის პრივილეგიურ მდგომარეობას;

[1]) ob. მისი Соціализмъ и сельское хозяиство გვ. 536.

[2]) იხ. მისი Соціализмъ и земледѣліе გვ. 80.

[3]) იხ. მისი Аграрный вопросъ и соціализмъ; განსაკუთრებით გვ. 81—103, 173—178 და სხვა.

[1]) იხ. К. Каутскій. Экономическое развитіе и общественный строй предисловіе 5 изд. გვ. Ш.

[2]) ეს ციტატები მომყავს მ. რაფაილოვის წიგნაკიდან. О критикѣ догмѣ, теоріи и практикѣ გვ. 8.

[1]) В. Черновъ. изъ практики соціалистическаго движенія въ Венгріи и Италіи. გვ. 19.

[1]) იხ. Л. Шишко. Очерки по вопросамъ экономики и полит[illegible] გვ. 25,31—32,36—41.

[2]) იხ. Дебаты по національному вопросу на Брюнскомъ партейт[illegible] Книгоизд. „Серпъ“ 1906 იხ. გვ.

[3]) იხ. „ერთობა“ № 136, ნ. ჟ[illegible]დანიას მოხსენება: მ. პლეხან[illegible] როგორც დამაარსებელი რ. ს. დ.

უდა“—ს კურსი აილო,—ამხ.
ბაროვი, ვიწრო ნაციონალიზმის
ეშე მდგომი, შეურყევლათ და-
იმ დროშის ქვეშ, რომელსაც
ხურებოდა „ზნამია ნაროდა“ და
ნი ორგანიზაცია.
ინაიდან მას ესმოდა, რომ ამიერ-
სიის დემოკრატიის ხსნის საქმე
ლებათ ეგუება იმ პოლიტიკურ
, რომელსაც იმ ხანებში „ზნა-
ტრუდა“ აწარმოებდა. ჩვენს პო-
ციას ამხ. პ. გამბაროვი მტკიცედ
ვდა ყველა ჩვენს კრებებზე.
ემოკრატიის საქმისადმი სამსა-
ი ყოველთვის იყო მთავარი მის-
ფება განსვენებულისა. ამაზე
ადებს აგრეთვე მისი წარსული.
კიდევ მაშინ, როცა ის იყო
როგრადის პოლიტეხნიკუმის სტუ
ტათ, ის იდგა რევოლიუციონუ-
სტუდენტობის პირველ რიგში.
ოლიუციის დროს ჩვენ ვხედავთ
პეტროგრადის მუშათა და ჯა-
კაცთა საბჭოს წევრად. როგორც
ურ წევრს სოც.-რევოლიუციო-
თა ფრაქციისას. უკანასკნე-
წარმომადგენლათ ის შედის
როგრადის საბჭოს აღმასრულე-
კომიტეტში, ესწრება საბჭოთა
ზდებს, სადაც მას ირჩევენ სრუ-
დ რუსეთის ცენტრალურ აღმას-
ლებელ კომიტეტის წევრად. იქ
წევა მუშაობას ოქტომბრის გა-
რიალებამდი, და თავისუფალ
ს პარტიულ მუშაობას ანდო-
. შემდეგ მას ვხედავთ სახელმ-
ოსა და დემოკრატიულ თათბირ-
და შემდეგ აგრეთვე რესპუბლი-
საბჭოს წევრად. ოქტომბრის
ატრიალების შემდეგ ის აწარმო-
შეუწყვეტლივ ბრძოლას ბოლ-
ვიზმთან. და მხოლოდ დამფუძნე-
ლი კრების გარეკის შემდეგ, რო-
უკვე პეტროგრადში არაფერი
საკეთებელი, ის ჩამოვიდა კავ-
იაში. და აქ გრძელდება დაუღა-
ვი მოქმედება.

გამბედაობა, საფრთხის წინ უშიშროება, დაუშრეტელი მუშაობის უნარი, თავდადებული ერთგულება დემოკრატიის და ინტერნაციონალისადმი, ღრმა რწმენა სიმართლის—ჭეშმარიტების და სიმართლის-სამართლიანობის საბოლოოთ გამარჯვებისა. ამ განსვენებულის სულის შინაარსი.

და ჩვენ, მისი პარტიული ამხანაგები უნუგეშო მწუხარებას ვეძლევით აუნაზღაურებელი დანაკარგის გამო.

საქართვ. მომქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ც. კ. წევრი **ს. ჩემოდანოვი.**

გარ თვითმპყრობელურ მარ-
ა-გამგეობის არსებობაში ის
დავს მშრომელთა ზედმეტ და-
ბულების თავისუფლად და შეუ-
რებლათ ამოწურვის საუკეთესო
ვდებს,—ამაში, სწერდა ვ. ჩერ-
ვი, არაფერი არ არის გასაკვირა-
იმისთვის, ვისი მსჯავრიც არ
ნისაზღვრებოდა ეგრეთწოდებულ
პიტალიზმის, კლასიკურ ქვეყნე-
ს ისტორიით“ [1]).
დიახ, ეს ჩვენთვის არ არის გა-
კვირალი. ეს ფაქტი კი ნათლად
ანახებს მარქსიზმის, ბურჟუაზიის
ევოლიუციონერობაზე შეხედულე-
ს სიყალბეს.
სოც.-დემ. ავიწყდებოდათ, რომ
„1861 წლიდან რევოლიუციო-
ური ბრძოლა მეფურ თვითმპყრო-
ლობის წინააღმდეგ მიმდინარეო-
და მხოლოდ სოციალისტურ დრო-
ს ქვეშ. ბურჟუაზიულ საზოგადო-
ბას რუსეთში არ წარმოუშვია არც
რთი რევოლიციონური პარტია,
ომელსაც ებრძოლა მის განსათავი-
უფლებლათ“, ([2]) რუსეთის ბურ-
უაზია პოლიტიკურად მოუმზადებე-
ი და შეუკავშირებელი შეხვდა,
ოგორც 1505 წლის, ისე 1917
რევოლიუციებს.
„Русская революція перескочила
черезъ буржуазію[3])
რუსეთის ბურჟუაზიას ეშინოდა
ევოლიუციის. ამ რევოლიუციის
როს, რუსეთის ბურჟუაზიის წარ-
მადგენელი კ. მილიუკოვი 2 მარ-
საც კი საპარლამენტო კონსტიტუ-
იონურ მონარქიის შესახებ ლაპა-
კობდა![4]) და არა რესპუბლიკის
ესახებ.
ასე სასტიკად დაამარცხა ცხოვ-
ების სინამდვილემ მარქსისტული
ეორია.

Michel.

(შემდეგი იქნება)

[1]) იხ. Черновъ: Изъ практики со-
ализм. движ. въ Венгріи и Италіи
. 18—20.

[2]) იხ. „Дѣло народа“ № 120, 1917 წ.

[3]) იხ. „Дѣло Народа“ № 130, 1917.

[4]) იხ. „თანამედროვე აზრი“ №
, 1917 წ.

# დეპეშები

(საქართვ. დეპ. სააგენტოსაგან.)

## ჰოლანდიაში.

ჰოლანდიაში ამ ჟამად სრული სიწყნარეა. ტრელსტრამ განაცხადა, რომ რევოლიუციონური მოძრაობა დამარცხდა.

ბრიუსელის და ანტვერპენის ოკუპაცია უკვე დამთავრდა.

გენერალი პეტენი მეათე არმიით მეტცში შევიდა. მცხოვრებნი დიდის აღტაცებით შეხვდენ. გენ. პეტენი საფრანგეთის ფელდმარშლათ დაინიშნა.

საადმირალო აცხადებს, რომ ბრიტანიის სავაჭრო ფლოტს ოქტომბრის განმავლობაში 84,000 წყალწყვის ზარალი მოუვიდა იმ დროს, როცა ნეიტრალურ და მოკავშირეთა სახელმწიფოების ზარალი 93,000 წყალწყვას შეადგენს.

გერმანიის საადმირალო იუწყება, რომ 93 წყალქვეშა ნავი მზათ არის ჩასაბარებლათ და ყოველდღიურათ 20 ნავს ჩააბარებს.

ბელგიის მეფე ალბერტიმ იმ მიზნით, რომ შექმნას ახალი კაბინეტი, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები მიიღო.

## უნგრეთში.

ბუდაპეშტიდან დეპეშით იუწყებიან, რომ უნგრეთი რესპუბლიკათაა გამოცხადებული.

სამხედრო სამინისტროს აზრით სამხედრო მდგომარეობა შეუძლებლათ ხდის მოხდეს დემობილიზაცია. მცირე ნაწილების დემობილიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მრეწველობის აღდგენა მოითხოვს.

# ზავის გარშემო.

ინგლისური პრესა, 20 ნოემ. პრეზიდენტი ვილსონი მონაწილეობს იმ თათბირში, რომლის მიზანია ზოგადათ განმარტოს ზავის პირობები.

გერმანიის სამხედრო გემების გადაცემა

გერმანიის სამხედრო გემებს 21 ნოემბერს ჩააბარებენ მოკავშირეთ ბრიტანიის ზღვაში.

ვილსონი და საბჭოთა რუსეთი.

სტოკჰოლმი, 19 ნოემ. ვილსონმა აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ წესრიგის აღდგენა დროებითი ზავის უმთავრესი პირობაა. იმ შემთხვევაში თუ საბჭოთა რუსეთის ელჩი ბერლინში ჩავა, დროებითი ზავი დარღვეული იქნება.

გერმანიის პროტესტი.

გერმანიის მთავრობამ მოკავშირეებს და ამერიკას რადიო დეპეშა გაუგზავნა, სადაც პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ დროებითი ზავის პირობები ემუქრება რეინის მარცხენა მხარის ეკონომიურ ცხოვრებას და რეინის მარჯვენა ნაპირის გერმანიის ტერიტორიასთან ურთიერთ დამოკიდებულობას, და რომ, თუ პირობები არ შემსუბუქდა ცხოვრება აუტანელი იქნება და ბოლშევიზმის გაძლიერება აუცილებელია.

# რევოლიუციონურ გერმანიაში

კაუცკი ნაციონალიზაციის შესახებ.

ცნობილი სოც.-დემოკრატი კარლ კაუცკი დამოუკიდებელ სოც.-დემ. გაზეთ „თავისუფლება“-ში სახიფათოთ სთვლის ეხლავე, ერთბაშათ ნაციონალიზაციის მოხდენას, ვიდრე ამის ხელსაყრელი პირობები არ შექმნილა. ეს იმას ემსგავსებოდა, რომ ხარები ურემს უკანიდან მივაბათ, ეს ნიშნავს გარდამავალ სახელმწიფოს შექმნას, რომელშიაც კაპიტალისტურ წარმოების გაგრძელება შემდეგში შეუძლებელია, ხოლო, სოციალისტური კი ჯერ არ არის.

ჯარის კაცთა საბჭო და ჰინდენბურგი.

მთავარ ბანაკის კასელში გადასვლის გამო, მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ შემდეგი დადგენილება გამოაქვეყნა: მოქალაქენო და ჯარის კაცნო, დღეს ფელდმარშალი ჰინდენბურგი მთავარ ბანაკის აფიცერთა და ჯარის კაცთა თანხლებით ჩავა კასელში იმისთვის, რომ... (დამახინჯებულია). ჩვენი ჯარის დემობილიზაცია მოახდინოს. ჰინდენბურგი ეკუთვნის გერმანიის ხალხს და გერმანიის ჯარს. მას ყოველთვის გამარჯვებით მიყავდა ჯარი და არ გაექცა ხალხს, როცა მას განსაცდელის დრო დაუდგა. ჰინდენბურგი ყოველთვის პირნათლათ ასრულებდა თავის მოვალეობას და ასე არასდროს დაგვახლოვებია, როგორც ახლა. მას ჩვენ ვფარველობთ. ჩვენ ვიცით, რომ კასელის მოქალაქე—ჯარის კაცნი და მცხოვრებნი ენდობიან და პატივსცემენ მას და რომ ის უზრუნველყოფილია შეურაცყოფისაგან. ფელდმარშალი და მთავარი ბანაკის აფიცრები და ჯარის კაცნი შეიარაღებულნი იქნებიან“.

რვა საათის სამუშაო დღე.

მთავრობამ გამოაქვეყნა მექარხნეთა კავშირის და ტრედუნიონისტების შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც სხვათა შორის შეიცავს 8 საათის სამუშაო დღეს. ამასთანავე მთავრობა მოითხოვს გერმანიის სამრეწველოების ხელმძღვანელებისაგან, რომ ეს დადგენილებანი დაიცვან იმ ოლქებში, რომლებიც მოკავშირეთა კონტროლის ქვეშ იმყოფება. ამასვე მოუწოდებენ სამრეწველოების დირექტორებს.

გერმანიის ჯარში.

ბერლინის ჯარის სხვა და სავა ნაწილის უნტერ-აფიცრებმა, ფლოტისა და ახალშენთა ჯარის წარმომადგენლებთან ერთად შაბათის სხდომაზე ერთხმათ განაცხადეს, რომ ისინი მთავრობის მხარეზე არიან, მთელ თავის ძალებს მათ განკარგულებაში აძლევენ, უარყოფით ეპყრობიან ბოლშევიზმს და ანარქიას და მოითხოვენ გერმანიის ეროვნულ კრების მოწვევას. უნტერ-აფიცრებმა თავის უფლებათა დასაცავათ ორგანიზაცია მოაწყვეს.

# საზღვარ-გარეთ

მეფე კარლი და დროებითი ზავის პირობები.

Berl. Tag. 21 ოქტომბის ნომერი ვენის სარწმუნო წყაროებიდან იტყობინება:

მეფე კარლს დროებითი ზავის პირობები, რამდენათ ისინი ეხებიან გერმანულ ტიროლიას, იმდენათ დამამცირებლათ და სამარცხვინოთ, რომ პირადათ უარი სთქვა შეთანხმების ხელის მოწერაზე და შეატყობია ღენერლებს და მთავრობის წევრებს, რომ ის უარს ამბობს ჯარის სათავეში ყოფნაზე, იმიტომ რომ ღენერალი კევეში, რომელსაც, როგორც მთავარ სარდალს, უნდა მოეწერა ხელი შეთანხმებაზე, და რომელიც იმყოფება თავის ლაშქარში უნგრეთში, შეთანხმებას ხელი მოაწერა შტაბის უფროსმა ფონარცმა.

## რუსეთის ამბები

გლავკოვერხის დახვრეტა

კუბანსკი კრაის ატყობინებენ იმ პირობებს, რომელშიაც მოხდა გლავკოვერხი სოროკინის დახვრეტა.

რამოდენიმე ხნის წინათ სოროკინმა დაიჭირა ეკატერინოდარში ცნობილი კომისარი რუბინი და ამტყუნებდა მასში, რომ ის მოყიდულია გერმანელებისაგან.

სოროკინის განკარგულებით რუბინი დახვრეტილ იქნა.

რუბინისადმი ასეთმა მოქცევამ მეტად შეაშფოთა დანარჩენი კომისრები, რომლებიც მოგზაურებოდენ ბოლშევიკურ ლაშქარში. ამის გამო შესდგა რამოდენიმე საიდუმლო თათბირი მოხეტიალე სოვნარკომისა, რომლის დადგენილებათ ყოფილმა ეკატერინოდარის კომისარმა იაკობ პოლუიანმა ერთგულ წითელ გვარდიელებით დაიჭირა სოროკინი და ამტყუნებდა მას, რომ ის მოეყიდა ბურჟუაზიას, მისი მოთხლვნილებით კი მზათ არის ჯარის კაცების, ლატიც, რის გამო მან უკანასკნელ ხანებში დაიწყო ყაზახების განსაკუთრებულ ნაწილებათ გამოყოფვა.

ეს, პოლუიანის ჩვენებით, სოროკინმა მოიმოქმედა იმიტომ, რომ მას შემდეგში სურდა დაეჭირა სოვნარკომი, დასცემოდა წითელგვარდიელებს და ერთი დაკვრით მოესპო ყუბანში ბოლშევიზმი.

სოვნარკომის განაჩენით სოროკინი დახვრეტილ იქნა. სასჯელის დროს ბრძანებლობდა და ხელმძღვანელობდა იაკობ პოლუიანი.

# „ვაის გავეყარეთ—უის შავეყარეთ“.

კარგი ხანია მას აქეთ, რაც გაზეთებში იწერებოდენ, რომ გურია შავდღეს განიცდისო, მაგრამ ამ განსაცდელისაგან ვერც ამ ჟამათ დააღწია თავი გურიამ.

ჩვენ არ შეუდგებით იმის ჩამოთვლას, თუ რამდენი უბედურება ეწვია გურიას, მხოლოთ ვიტყვით მოკლეთ, რომ დღევანდელი სოფელი ქალაქზე ბევრჯერ უფრო გაფხეკილია (მართალია, სოციალ-დემოკრატები კი გვარწმუნებენ, რომ სოფელი ამ ომიანობის დროს ძლიერ გამდიდრდა და ამიტომ საჭიროა გლეხებს მიწები ფულით შევაყიდვიოთო, მაგრამ მენშევიკების „რწმუნება“ კაი ხანია სინამდვილეს ეწინააღმდეგება) და კერძოთ გურია კი—სულ გაძვალტყავებულია. ის, ვინც ამ ჟამათ სოფელს ესტუმრება წინანდელი წარმოდგენით, ძლიერ შეცდება და გულდაკოდილიც დარჩება.

წინანდელი სოფელი აღარ არის... აღარ არსებობს წინანდელი გურული მუშა კაციც, თავის ცოცხალი ოხუნჯობით, ჭირში და ლხინში მომღერალი, ცნობის მოყვარე და მუდამ იმედებით აღსავსე. დღეს მას თავჩაღუნულს და წარბ-მოქუშულს შევხვდებით... ისეთი პესიმისტური თვალით უცქერის ყველაფერს, რომ თვით შოპენგაუერიც კი დაგავიწყდებათ...

გაზეთებში იწერებოდენ აგრეთვე, რომ წელს გურიაში ძლიერ კარგია მოსავალიო, მაგრამ მათ დაავიწყდათ ის თქმულება, რომელიც ამბობს: წიწილებს შემოდგომის ხანს ითვლიანო. შემოდგომამ კი გვიჩვენა, რომ „ძლიერ კარგი მოსავალის“ მაგივრად, მგონი საშუალოც არ მოსულა. ეს მოსალოდნელიც იყო. იმ დროს, როცა ხალხი მაღლა ღმერთს ევედრებოდა, დარი მოგვეციო, მთელი თვე წვიმდა და ყანებმა ვერ იხეირა. ამას გარდა, როგორც ვიცით, სუფსის და რიონის „გადმოსვლამ“ დიდი ზარალი მოუტანა ხალხს. ტყემ-კრეფის დროს კარგი დარები დაგვესწრო, მაგრამ სწორედ ამ კარგ ამინდების შესახებ ამბობს ხალხი: ვაის გავეყარეთ და უის შავეყარეთო.

„ომი დაიწყო და, რასაკვირველია, ჩვენც დაგვაწვა კისერზე; თათრები მოვიდა—მთლათ კინაღამ ამოგვწყვიტა. ერთი თვე წვიმდა და სულ შიშის ზარმა წაგვიღო, ულუკმოთ არ დავრჩეთო. ეხლა როგორც იქნა ეს ორი კოდა სიმინდი ჩავაგდეთ და გვეგონა პაწა სულს მოვითქვამთო, მარა... მთლათ ვიღუპებით: დაიწყო გვალვა და ერთხელ იმდენი არგაწვიმებულა, რომ ქათამი წყლით გამძღარიყოს! „ისპანკამ“ თუ სულ არ ამოგვხოცა, სულერთია შიმშილობას მაინც ვერ გადაურჩებით. არა, ჩვენს გზას და კვალს მართლა საშველი არ ქონებია, თვარა რიღა საჭირო იყო კიდევ ამდენი გაჭირვება? წისქვილი იყო, სიმინდი არ გვქონდა დასაფქვევი, ეხლა სიმინდია—წისქვილი არაა“! აი დღევანდელი საყვედური, რომელსაც ხშირათ გაიგონებ.

მართალია უწყლოობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდის ხალხი და აღარ შველის მამა-პაპური „ხელწისქვილებიც“, მაგრამ თავს კაცი კიდევ იმით ინუგეშებს, რომ ეს დროებითია და ასეა თუ ისე ჩქარა მოეწყობა, მხოლოდ საშიშო და უფრო საყურადღებო სულ სხვა რამეა.

ყველამ იცის, რომ წელს გურიამ საშინელი შიმშილობა გამოსცადა. შეიძლება მკითხველმაც არა ერთი და ორი შემთხვევა იცოდეს შიმშილობისაგან სიკვდილისა. ეჭვს გარეშეა, რომ თუ დროზე, ესე იგი ეხლავე არ იქნა საჭირო ზომები მიღებული, ვერც მომავალში ასცილდება შიმშილს გურია. რა შეგნებულიც არ უნდა იყოს გურია, თუ მას ერთხელ მაინც რეალური დახმარება არ გაუწიეს, ის უკმაყოფილება, რომელიც ხალხშია დაგროვილი, ადვილათ შესაძლებელია აქტიურ უკმაყოფილებათ გადაიქცეს, რაც სასურველი არ არის, და ამიტომ ვიმეორებთ, რომ საჭიროა დროზე ზომების მიღება, რათა მომავალ შიმშილობას ხალხმა თავი დააღწიოს და მას მართლა „ჟამი“ არ გაერიოს...

აუცილებელი საჭიროა აგრეთვე, რომ ხალხს მისაწდომ ფასებში მიაწოდონ, შეძლების დაგვარათ, ფართლეულობა და ფეხსაცმელები, როგორც ამ საგნების შეძენას ახერხებენ მუშათა კავშირები ქალაქებში. უტანისამოსობის გამო, წარმოუდგენელ გაჭირვებას განიცდიან სოფლათ. თუ ვინმეს რამე აცვია, ეს კიდევ „კაზენი“ წყალობაა... დღეს ხშირათ გაიგონებ საყვედურს იმის შესახებ, რომ გლეხები ყველაფერს ძვირათ ჰყიდიანო, მაგრამ ავიწყდებათ ორი გარემოება: ერთი ის, რომ ყანის მუშების უმრავლესობას გასაყიდი კი არა, ყველაფერი საყიდელი აქვს; თუ ყიდის და ვაჭრობს, ისევ „შეძლებული“ და მეორე ის, რომ სოფლათ უფრო სიძვირეა, ვიდრე ქალაქებში. მაგალითად: ერთი არშინი ნარმა 40-50 თუმანია, ნავთი სრულებით არ მოიპოვება, სპიჩკა ექვსი აბაზიდან ორ მანეთამდე ადის და ერთი წყვილი წუღა კი ათი და ცამეტი თუმანია.

ერთმა მეზობელმა მითხრა: „აი შენ ნასწავლი კაცი ხარ და გამომიანგარიშე, რამდენი თუმანი მეყოფა, რომ ქალს და ბალნებს თითო წყვილი საცვლები უყიდო, თითო ბლუზა, ან კაბა, და თითო წყვილი წუღები“?

— საქმე იმაშია, თუ რამდენი სული ხართ.

— რამდენი და ცხრა. მეათე მე გახლავარ.

— მაშ ცოტა დაგჭირდება: სულ უკანასკნელი ექვსი, შვიდი ათასი...

— აგაშენა ღმერთმა. ამდენი ფული მე კი არა მთელ ჩვენ შთამომავლობას არ ქონებია და არც ექნება, მაგრამ ტიტველა ხომ ვერ ვივლი? ტომარები ვიყიდე ოც-ოც მანეთად და ბლუზა-შალვარი შევიკერე... ექვსი ქცევა ყანა მქონდა საზიაროთ, ვიფიქრე, ცოტა სიმინდს გავყიდი და რაცხა მეშველება მეთქი, მარა ოთხმოცი ფუთი მომიწია, მე კი წლიდან წლამდე ორას ფუთზე მეტი მჭირდება. როგორ უნდა გავიტანო თავი მეორე მოსავლის მოსვლამდი?— შემეკითხა მეზობელი:

მე დავაიმედე იმით, რომ ყველაფერი მოეწყობა და იქნებათქო, მაგრამ გულის სიღრმეში კი გავიმეორე მისი სიტყვები: „მართლა როგორ უნდა გადინარჩუნოს ხალხმა თავი აწმყო და მომავალ გაჭირვებისაგან, თუ მას დროზე არავინ მიეშველა„?..

**ოლინკაშვილი.**

## მდგომარეობა ადერბეიჯანში

განჯიდან ჩამოსულმა ერთმა იქაურმა მოხელე პირმა გადმოგვცა, რომ ადერბეიჯანის მთავრობა სრულიად დაიბნა მას შემდეგ, რაც ბაქოში ინგლისელები და რუსები შევიდნენ. მდგომარეობა ყოვლად გამოურკვეველია- ოსმალეთის ჯარმა დასტოვა ადერბეიჯანი, ხოლო საკუთარი ძალა ადერბეიჯანის მთავრობას არ გააჩნია საკმაოდ. ახალმა ოსმალეთის მთავრობამ ნური-ფაშა გამოიწვია სტამბოლში, მაგრამ უკანასკნელი არ დაემორჩილა მთავრობის განკარგულებას რადგან, როგორც სჩანს, ის სამართალშია მიცემული ოსმალეთის ახალი მთავრობის მიერ. განჯაში ხმა გავრცელდა, რომ ნური-ფაშა ცდილობს დარჩენილ ადერბეიჯანში ასკერებისაგან და ადგილობრ მკვიდრ ავანტიურებისაგან შეადგინოს ჯარი. რომ შესძლოს წინააღმდეგობის გაწევა, თუ მის დაჭერას მოინდომებს ოსმალეთის მთავრობა ან ბაქოს ახალი ბატონ-პატრონი. განჯის პოლიტიკურ წრეებში ჰფიქრობენ, რომ შექმნილ მდგომარეობის მიხედვით სულ მოკლე ხანში განზრახულია სრული რეორგანიზაცია ეხლანდელ მთავრობისა, თუ საზოგადოდ ადერბეიჯანის დამოუკიდებლობას რაიმე სერიოზული ხიფათი არ მოელის. ზოგიერთ წრეებში ემჩნევა დაუფარავი რუსოფილობა; მთავრობის მიერ დაწყებული დაწესებულებათა ნაციონალიზაცია შეჩერდა. კურიოზულ შემთხვევებსაც აქვს ადგილი: მაგ., ბევრმა ადერბეიჯანელმა რუსული ორდენებით კვლავ გაიჭედა გულმკერდი, ქუჩაში გაჩაღდა რუსულად ლაპარაკი და სხვ. სხვადასხვა გაზეთებიდან ძლიერ საყურადღებო ცნობები მოდის: მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციამ ფართო მასიური ხასიათი მიიღო, არის ისეთი მაზრები, მაგ., შუშის მაზრა, რომლებიც სრულებით არ სცნობს ხან-ხოელის მთავრობას და სასტიკ წინააღმდეგობას უწევს მაზრის და სოფლის ადმინისტრაციას. „თვით არ იყო ძმარიო, შიგ ჩაურიეს წყალიო“—ეს ანდაზა სწორედ რომ გამოჭრილია დღევანდელ ადერბეიჯანზე: ისედაც სახელმწიფოს ნაკლებად ჰგავდა ადერბეიჯანი, და ბაქოში ინგლისელ-რუსების შესვლის შემდეგ სულ აიწეწდაიწეწა მისი საქმეები.

**პანი.**

## ქალაქის იაფ-ფასიანი სასადილოები.

აუტანელმა სიძვირემ, რომელიც არსებობას უსპობს ქალაქის დემოკრატიას აიძულა თფილისის ქალაქის გამგეობა ოდნავი ყურადღება მაინც მიექცია ღარიბ მცხოვრებლებისათვის და ამ მიზნით მან გახსნა ზოგიერთ უბნებში იაფ-ფასიანი სასადილოები. ეს მოვლენა რასაკვირველია კეთილი და სიმპატიურია. ამ პატარა წერილში ჩემი მიზანია ერთ საჩქაროთ მოსასპობ მოვლენაზე მიუთითო ქალაქის გამგეობას, რომელიც გამეფებულია სასადილოებში. ვინც ხსენებულ სასადილოებში სასადილოთ დადის ის აუცილებლად შეამჩნევდა, რომ იქ ყველაფერი თავის რიგზე არ არის. ამ ნიადაგზე ერთჯერ ერთ-ერთ მათგანში ადგილი ჰქონდა მცირე სკანდალსაც. საქმე ის არის, რომ სასადილოში მომუშავეთ ეტყობა ან აშკარა თაღლითობა, ან სრული უპასუხისმგებლობა მოვალეობის წინაშე. სასადილოს კარებში გამოკრულია განცხადება სადაც ვგებულობთ, რომ სადილი გირვანქის ერთი მეოთხედი პურით ღირს 4 მანეთი, მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ პური არათუ გირვანქის ერთი მეოთხედი, არამედ ერთი მერვედი თუ იქნება, რომელსაც სასადილოში იძლევიან. ერთ დღეს პური კარგი ღირსების რიგდება, მეორე დღეს უარესი, ერთ დღეს პატარა—მეორე დღეს უფრო დიდი, საჭამანდში ერთ დღეს ხორცია მეორე დღეს არა, პორცია ხან შესაფერისია, ხან სრულიად მცირე და სხვა.

სასადილოს გამგე ვალდებულია დაწესებული ნორმით მიაწოდოს ხალხს პორცია და როცა ის ამას არ შვება—ცხადია რაღაც არა საკადრისს სჩადის. ამ მოვლენას ჩემს გარდა სხვაც ბევრი ამჩნევს და ამ ნიადაგზე, როგორც აღვნიშნე, ერთხელ სკანდალიც კი მოხდა. იბადება საკითხი ჰყავს თუ არა ამ სასადილოს მეთვალყურე?

ცხადია, რომ მეთვალყურე ეყოლება, მაგრამ უკანასკნელი რომ არ ასრულებს თავის მოვალეობს—ეს კი სასადილოში გამეფებულ წესებიდან ნათლად სჩანს.

საჭიროა უკანასკნელად მაინც მიექცეს ამ სამწუხარო მოვლენას ყურადღება.

**X.**

## რა უწოდოთ?

**მცხეთა.** ორშაბათს, 18 ამ თვეს, მეტად არა სასურველი სურათის მოწამე გავხდი. რაიონის კომისარს ბ. ცინცაძეს ცხენი დასჭირვებია და მიჰმართა ერთ ადგილობრივ მცხოვრებს შაქროს. სოფელმა უთხრა, რომ ცხენი ესეც არის ყაზბეგიდანაა მოსული, და არ შემიძლია გატანებაო, მიუხედავათ ამისა ბ. კომისარმა ცხენს ხელი წაავლო და მიჰყავდა. სოფელი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და წამოიძახა: „ცხენიც თქვენ და ჩემი ცოლშვილის ცოდვაც თქვენ“-ო. ამან ძალზე გააბრაზა ეს კომისარი და სამოცი წლის მოხუცს მაუზერით ცემა დაუწყო. როცა მოხუცს გულმა არ მოუთმინა და თან გაყვა თავის ცხენს, იგი დაუმწყვდევიათ საღამომდის. სასურველია მთავრობამ დროით მიაქციოს ყურადღება ამგვარ კომისრების თავ-გასულობას, თორემ ხალხში ეს დიდ უსიამოვნებას გამოიწვევს.

**მარგალი.**

## პროვინცია.

**ს. თეკლათი** (სენაკის მაზრა) მშვენიერი შემოდგომა წაგვამწარა საშინელმა ქარმა, რომელიც 6 დან 8 ნოემბრამდე პირდაპირ ანადგურებდა კარ-მიდამოს. ქარს ისეთი სიძლიერე ქონდა, რომ ბევრ ალაგას სასიმინდეები და სახლებიც გადაატრიალა, სახლებს სახურავები აგლიჯა, ერთი სიტყვით თვითოეულ ოჯახს მიაყენა 200-300 მანეთის ზარალი და ბევრს კიდევ მეტი.

ასეთი ძლიერი ქარი ძვირად თუ ახსოვს ვისმე. ქარი ცივი იყო და ამიტომ ხელი შეუწყო ავათმყოფობის გაძლიერებას, ისპანიურმა სენმა ყველგან მოიკიდა ფეხი. ბევრს ამ ავადმყოფობაზე არ აქვს სრული წარმოდგენა და თავის დროზე საჭირო ზომებს ვერ მიიღებს, ან წამლეულობის სიძვირის ან და უბრალო დაუდევრობის გამო. ასეთ შემთხვევებში ხშირად ანთება ფილტვებზე გადადის.

დამაღონებელ სურათს წარმოადგენს დღეს ჩვენი სოფელი. იშვიათია ისეთი ოჯახი, სადაც რამოდენიმე ავათმყოფი არ იწვეს; ყველგან ტირილი, მწუხარებაა. დღე ისე არ გაივლის, სამი-ოთხი მიცვალებული არ გაასვენონ: ფილტვების ანთებამ და „ისპანკამ“ იმსხვერპლა მაგალითად ს. სახარბედიოდან ამ ბოლო დროს 20 მიცვალებული გამოასვენეს. ასეთ ტრაგიკულ მდგომარეობაშია ჩვენი გაჭირვებული ხალხი. ასეთი წყეული დროის გათენებისათვის სოფლის ხალხი თავს იწყევლის. უპატრონო სოფლისთვის დახმარების აღმოჩენა შეეძლო სენაკის სამაზრო ერობას შედარებით იაფ ფასებში წამლების მიწვდენით, მაგრამ ყოვლად გაუგებარი მიზეზების გამო ჩვენი მთავრობისაგან არავითარი დახმარება ჯერ არ მიუღია მას. ალბათ სოც. დემოკრატები ფიქრობენ, რომ გლეხებს უჩვენოდაც სავსე აქვთ ზანდუკი ფულებით და თავს თვითონ მოუარონო!

**ამხანაგი.**

— —

ქ. ახალ-სენაკი. სენაკის რაიონის კოოპერატივთა კავშირი „ხალხის სიმაგრე“ ამ დღეებში მოელის მთავრობასგან ერთ ვაგონ შაქარს და სხვა დიდძალ საქონელს. სპეკულიანტებს აქიდან ბლომათ გააქვთ თბილისში სიმინდის ფქვილი და ამით ადგილობრივ ბაზარზე ფასი მატულობს, როდესაც თბილისში გზა დაკეტილი იყო მე 162 ვერსზე ხიდის გაფუჭების გამო, სპეკულიანტები აღარ სჩანდნენ და ფქვილის ფასი უცებ 30 მანეთამდე დაეცა, ხსენებული ხიდის შეკეთებისას ფუთი ფქვილი კვლავ 44-50 მანეთი ფასობს.

— პარასკევს, 14 ნოემბერს, ჩხუბი ასტეხეს ორმა ძმამ, პაჭკორიებმა და ერთმა მეორე ხანჯლით თავში დასჭრა ორ ალაგას. ამას წინედ მათ უთანხმოება ქონდათ მამულის გაყოფის თაობაზე.

**ს—ა.**

— —

**(გურია).** მიქელ-გაბრიელის საზოგადოება. გასულის წლის მოუსავლობით განაწარები სოფლელები წელს მეტის მხნეობით შეუდგნენ ყანების დამუშავებას მიუხედავად იმისა, რომ თესვის დაწყებისთანვე ზარბაზნებმა დაიგრიალა და ბათომის დაცემის შემდეგ გათამამებული მტერი საზოგადოების საზღვრებს მოადგა, სახლში დარჩენილი სოფლელები ყანების თესვას მაინც განაგრძობდნენ, და იმდენი დასთესეს, რომ არა თუ თავისი სარჩო, გასაყიდი ჭინახულიც უნდა მოსვლოდათ.გასულ ზაფხულზე როცა სიმშილმა მწვავე ხასიათი მიიღო და ვინ იცის ხალხი რით იკვებებოდა, სოფლელები მაინც იმედიანად გამოიყურებოდნენ.—„თუ ამ ზაფხულზე სიმშილით არ დავიხოცეთ შემოდგომიდან სიმინდი და ღომი სანატრელად აღარ გვექნებაო“, იმედიანად ამბობდენ ისინი. მოსავალს საუცხოვო პირი უჩანდა. კოხტად გათოხნილი და ზღვასავით დამდგარი ყანები არა თუ მშივრებს, მაძღრებსაც კი სიამოვნებას აგრძნობინებდა. მადას აღუძრავდა. სამწუხაროდ, განგებას ჩვენი ბედნიერება შეშურდა, მოსავალმა იმედები არ გაგვიმართლა ზაფხულის მიწურულში უეცრად მოატანა ძლიერი ქარიშხალი; საუკეთესო ჰალები ნიაღვარმა წალეკა; რაც ნიაღვარს გადურჩა, ქარმა მილეწმოლეწა და მოსავალი განახევრდა. მეტად ნაღვლიანი იყო წლევანდელი ტეხა-კრეფა. მოსატეხ-მოსაკრეფის სიმცირემ ხალხს გული აუცრუა, იმედი წაართვა.—„შარშანდელივით თუ წელიწადი მოიჯაყოდა, არ მოველოდით; თითქო საგანგებოდ, ყველაფერი უხვავო არისო, გაიძახოდენ სოფლელები. საუცხოვო დარებ მის წყალობით მცირე მოსავალი იოლად შეინახეს. არ არის იმედი, რომ ის სიმინდი და ღომი რაც მოუვიდათ, სოფელს წლის ბოლომდე გაჰყვება. საჭიროა საზოგადოებამ ამ თავითვე იზრუნოს სურსათზე, თორემ შარშანდელივით უმწეოდ დავრჩებით და მერე თითზე კბენანი გვიანი იქნება.

საექიმო დახმარებას ყოველთვის მოკლებული ვიყავით. ერთად-ერთი გამოცდილი და შეჩვეული ფერშალი რომელიც სოფელ სამხოოში სცხოვრობდა, ასე თუ ისე კიდევ უვლიდა საზოგადოებას მაგრამ ამ ბოლო დროს ეს ფერშალიც სადგურ ნატანებში გადაიბარგა და საზოგადოება მშრალზე დასტოვა. ავათმყოფობა კი მძინვარებს და დიდ მსხვერპლს იწირავს. შეჩვეულ სნეულებებს ისპანიური, ანუ როგორც აქ ეძახიან — „ახალი ავათმყოფობაც“—დაერთო, ამ სენმა ჩვენში ამ ერთი თვის წინედ იჩინა თავი და ეხლა იშვიათია ისეთი ოჯახი, ავათმყოფი რომ არ ჰყავდეს. საზოგადოებამ სამაზრო მთავრობას ექიმის დანიშვნა სთხოვა, მაგრამ რომელი ექიმი დასთანხმდება ეხლა მიყრუებულ სოფელში იცხოვროს, როცა ავათმყოფებს ქალაქშიაც თავს ვერ ართმევენ.

აქაური მენშევიკები დიდს ფაცაფუცში არიან, ურჩო სოფლების „მოქვიანებაში“ დიდს სიყოჩაღეს იჩენენ. უმთავრესად მათი საქმიანობა მიწის საკითხის გარშემო ტრიალებს. მართლა და ადვილი არაა. გლეხს დაუმტკიცოთ რომ მისთვის უმჯობესია მიწა შეისყიდოს, მინემ უფასოდ მიიღოს. მენშევიკები კი უმტკიცებენ... ჯერ იყო და აწ განსვენებულ ამიერ კავკასიის სეიმის მიერ გამოცემულ მიწის დეკრეტის გატარება იაფად არ დაუჯდათ. ამ დეკრეტის წყალობით იყო, რომ გასულ მარტში მათ ორგანიზაციას 120 მდე პარტიის წევრი სამუდამოდ ჩამოშორდა და ლამის იყო, ბოლშევიკებში არ გადაიჩეხა. ამის შემდეგ „იაჩეიკებში“ მიწის შესყიდვის პრინციპის გატარებაც ადვილი არ შეიქნა; სოფლელები როგორც იყო ამაშიაც „დააჯერეს“... მაგრამ ეხლა „ათისთავი“ გაუხდათ თავ სატეხად. სოფლელებს გამოცხადებული ჰქონდათ, რომ სათონდო მიწაზე ღალა ქცევაზე 1—3 მანეთს არ გასცილდებოდა, ეხლა კი ხალხს გამოუცხადეს: მთავრობის გადაწყვეტილებით მიწის ღალად ათისთავი უნდა შეგროვდეს და მთავრობას გადაეცესო ამას, მგონი, მოწინავე მენშევიკებიც არ მოელოდნენ.—„ქვეყნის საქმე რომ მოეწყოს, ჩვენ არაფერი გვეშველებაო“, ამბობენ სოფლელები.

**ისონ.**

## წერილი რედ. მიმართ.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ტყიბულის სახალხო სახლის საამშენებლო კომისიის სახელით ყველა იმ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ტყიბულის სახ. სახლის ასაშენებელი ფონდის გასაძლიერებლად.

აქვე მოგვყავს შემომწირველ[თა] სია: ქ-მა ელ. ისაიანცისამ 50 მან. სიმ. ნიჟარაძემ 30 მან. ... ხუთი მანეთი ... წულუკიძემ და კოლ. ანდღედიანმ ოც-ოცი მანეთი: მ., მღებროვმ მან. ბრეგაძემ, ივ. დოლგოვმა ს. პაპისოვმა. ილ. კახიძემ 15 მან. თითო თუმანი: პ. მანაგაძემ, ქალბაქიანმა, იონა ობოლაძემ, ბოჭორიშვილმა, მ. ქასრაძემ, ჭიჭინაძემ, ვლ. ვარდოსანიძემ, ბრიცკმა, დ. სოფრომაძემ, ე. ... ტურიძემ, ფიქენკომ, ნ. ბოჭორიშვილმა, კ. გველესიანმა და გ. ... რეთელმა. გ. როინიშვილმა რვა მანეთი. ხუთ-ხუთი მანეთი შემოსწირეს: ქრისტინე მანჯავიძემ, მარ... ძნელოფოსთავამ, მელქ. ბოჭორიშვილმა, მიხეილ, სევერიან და ს... მონ ქაჯაიებმა, სპ. ჭელიძემ, ზა... ძოწენიძემ, რიახოვსკიმ, ვას. ქა... მაძემ და არტ. გოგუაძემ. სამ-სამი მანეთი: კ. ცირეკიძემ და ბიჭ. ბა... ბაქაძემ, ორ-ორი მანეთი: მაკრ... ბოჭორიშვილმა, დ. ქათამაძემ, ... მაილ ბოჭორიშვილმა და ევ. მა... გაძემ. თითო მანეთი: სევ. ბარბა... ძემ, ნიკ. ბედლიძემ, პარმენ და ... ქდენ ლანჩავებმა და სოკრატ ობ... ლაძემ სულ 447 მან.

ტყიბულის სახ. სახლის საამშენებლო კომისია ულრმეს მადლობას უცხადებს აგრეთვე ქ-ნ სონია ... ლედიანს, რომელმაც შრომა გას... და შეკრიბა ეს შემოწირულება ტყი... ბულის ქვა-ნახშირის მაღაროებ... მოსამსახურეთა შორის.

ტყიბულის სახალხო სახლის საა... შენებლო კომისიის თავმჯ... მარე ექიმი **ივ. კვიჟინაძე.**

მდივანი **ვანო მიქაუტაძე.**

## მატარებლების მიმოსვ[ლა]

საქართველოს რესპუბლიკის რკ[ინის] გზებზე 20 ნოემბრიდან მატარებ[ლე]ბი შემდეგი წესით ივლიან:

მატარებელი № 1—გადის თფი[ლი]სიდან—17 ს. და 42 წ.,
ხაშურიდან—22 ს. და 22 წ.,
რიონიდან—3 ს. და 09 წ.,
ჩადის ფოთში—6 ს. და 33 წ.,
„ № 3 გადის თბილისიდან 10 ს. და 25 წ.,
„ ხაშურიდან 18 ს. და 04 წ.,
„ რიონიდან—23 ს. და 21 წ.,
ჩადის ფოთში—4 ს. და 36 წ.,
„ № 5 გადის თბილისიდან—22 ს. და 30 წ.,
„ ხაშურიდან—4 ს. და 02 წ.,
„ რიონიდან—9 ს. და 18 წ.,
ჩადის ფოთში—13 ს. და 08 წ.

**გ ა მ ო დ ი ს:**

მატარებელი № 2 ფოთიდან—20 ს. და 49 წ.,
რიონიდან— 0 ს. და 14 წ.,
ხაშურიდან—5 ს. და 01 წ.,
თბილისში მოდის 8 ს. და 57 წ.,
№ 4 ფოთიდან 22 ს. და 34 წ.,
რიონიდან—4 ს. და 30 წ.,
ხაშურიდან—12 ს. და 15 წ.,
თბილისში მოდის 18 ს. და 25 წ.,
№ 6 ფოთიდან—16 ს. და 11 წ.,
ხაშურიდან—2 ს. და 33 წ.,
თბილისში მოდის 7 ს. და 20 წ.

მატარებლები №№ 1 და 2, ... ფია, თბილისსა და ფოთს შუა, ... ა ვაგონების საჯდომი ად[გილე]ბი დანომრილია. პლაცკარტი ღირ[ს] ... გზავრო ბილეთის ფასის გარდა, ... მან. ყველა ვაგონებში.

მატარებლები №№ 5 და 6—... გზავროა თბილისსა და ფოთს ... ყველა ვაგონებში საჯდომი ად[გილე]ბი დანომრილია, პლაცკარტი ღ[ირს] გარდა სამგზავრო ბილეთის ფ[ასისა] 10 მან. ყველა კლასებში.

მატარებლები № 3 და 4—სა[მგზავ]როა თბილისსა და ფოთს ... უპლაცკარტოა.

სარედაქციო კოლეგ[ია].
გამომცემელი—ცენტრალური კომიტ[ეტი].